

რას გულისხმობს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილება?

თუ თქვენ ერთსა და იმავე შემოსავალზე ან ქონებაზე გადასახადს საქართველოშიც იხდით და სხვა სახელმწიფოშიც, უფლება გაქვთ, თავიდან აიცილოთ ორმაგი დაბეგვრა და გადასახადი გადაიხადოთ ერთ-ერთ სახელმწიფოში, თუ ამ სახელმწიფოსა და საქართველოს შორის გაფორმებულია შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმება ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ.

ვის ეხება ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილება?

- თუ თქვენ ხართ საქართველოს რეზიდენტი და შემოსავალს იღებთ სხვა ქვეყანაში;
- თუ თქვენ ხართ არარეზიდენტი და შემოსავალს იღებთ საქართველოში.

როგორ გადასახადებთ ვრცელდება ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილება?

ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილება ვრცელდება შემოსავალსა და ქონებაზე დაწესებულ გადასახადებზე, რომლებიც გადაიხდება საერთაშორისო შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

როგორ უნდა მოიქცეს საქართველოს რეზიდენტი (საგადასახადო აგენტი), თუ მისთვის მომსახურების გაწევს სხვა ქვეყნის რეზიდენტს სურს საქართველოში მიღებულ შემოსავალზე გადასახადის საქართველოში გადახდის თავიდან აცილება?

- თუ თქვენ სარგებლობთ არარეზიდენტის მომსახურებით და საერთაშორისო შეთანხმების პირობებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, ის საქართველოში მიღებულ შემოსავალზე რეზიდენტობის ქვეყანაში დაიბეგროს, უფლება გაქვთ, მოითხოვოთ შესაბამისი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული შემოსავლის მიმღების რეზიდენტობის დამადასტურებელი ცნობა;

- თუ თქვენ არ გაგიხორციელებიათ არარეზიდენტისთვის გადასახადის საქართველოში დაკავება, თქვენ, რეზიდენტი პირი, ელექტრონულად, შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებგვერდის (www.rs.ge) საშუალებით საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1-ლ აპრილამდე წარუდგენთ საგადასახადო ორგანოს „საგადასახადო აგენტის ინფორმაციას არარეზიდენტისათვის წყაროსთან დასაკავებელი გადასახადის გადახდისაგან გათავისუფლებაზე ან შემცირებაზე“ (ფორმა №1), რომელსაც უნდა დაერთოს შემოსავლის მიმღების რეზიდენტობის დამადასტურებელი ცნობა და მისი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

როგორ უნდა მოიქცას არარეზიდენტი, თუ მას სურს საქართველოში გადახდილი და დაბავრილი გადასახადის უკან დაბრუნება?

- თუ თქვენ საქართველოში მიღებულ შემოსავალზე გადასახადი საქართველოში გადაიხადეთ, მაგრამ, საერთაშორისო შეთანხმების პირობებიდან გამომდინარე, გადასახადის რეზიდენტობის ქვეყანაში გადახდას ექვემდებარებით, გადასახადის დასაბრუნებლად ელექტრონულად - www.rs.ge-ის საშუალებით ან შემოსავლების სამსახურის ნებისმიერ სერვის ცენტრში წარადგენთ „არარეზიდენტის დეკლარაციას საქართველოში გადახდილი/დაკავებული გადასახადების შესახებ და მოთხოვნას თანხის დაბრუნების თაობაზე“ (ფორმა № 2), რომელსაც უნდა დაერთოს შესაბამისი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული, შემოსავლის მიმღების რეზიდენტობის დამადასტურებელი ცნობა და მისი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

როგორ უნდა მოიქცას არარეზიდენტი, თუ მას სურს საქართველოში მიღებულ და დაბავრილ შემოსავალზე ცნობის აღება?

- ცნობის აღების მიზნით თქვენ (არარეზიდენტი) ელექტრონულად - www.rs.ge-ის საშუალებით ან შემოსავლების სამსახურის ნებისმიერ სერვის ცენტრში წარადგენთ „არარეზიდენტის მიერ საქართველოში გადახდილი/დაკავებული გადასახადების შესახებ ცნობის მოთხოვნას“ (ფორმა №3).

როგორ უნდა მოიქცას საქართველოს რეზიდენტი, თუ მას სურს, თავიდან აიცილოს ორმაგი დაბეგვრა?

- თუ თქვენ ხართ საქართველოს რეზიდენტი და შემოსავალს იღებთ სხვა ქვეყანაში და, საერთაშორისო ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, ექვემდებარებით გადასახადის გადახდას საქართველოში, საერთაშორისო შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოში წარადგენთ „რეზიდენტობის ცნობას“ (ფორმა №4);
- რეზიდენტობის ცნობის მისაღებად ელექტრონულად - www.rs.ge-ის საშუალებით ან შემოსავლების სამსახურის ნებისმიერ სერვის ცენტრში წარადგენთ „რეზიდენტობის ცნობის მოთხოვნას“ (ფორმა №4).

ფორმების განხილვის ვალები და მომსახურების საფასური

- ფორმა №1 არის ინფორმაცია და შემდგომ განხილვას არ ექვემდებარება;
- ფორმა №2 განიხილება 30 კალენდარული დღის ვადაში;
- ფორმა №3-ისა და ფორმა №4-ის
 - ✓ 1 სამუშაო დღეში განხილვისათვის მომსახურების საფასურია 100 ლარი;
 - ✓ 5 სამუშაო დღეში განხილვისათვის მომსახურების საფასურია 50 ლარი;
 - ✓ 30 კალენდარულ დღეში განხილვისათვის მომსახურება უფასოა.

შენიშვნა: საქართველოსთან გაფორმებული და ამოქმედებული საერთაშორისო შეთანხმებები ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ იხილეთ ვებგვერდზე: www.mof.ge.

ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების საკითხი რეგულირდება „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებით განსაზღვრული საგადასახადო შეღავათით სარგებლობისა და არარეზიდენტისათვის საქართველოში გადახდილი გადასახადის დაბრუნების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №633 ბრძანებით.

დამატებითი კითხვების შემთხვევაში შეგიძლიათ, ისინი გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტის (info@rs.ge) საშუალებით. ან მიმართოთ შემოსავლების სამსახურის ნებისმიერ სერვისცენტრს და უმოკლეს ვადაში მიიღოთ პასუხი ნებისმიერ კითხვაზე.

ბარმინთა განმარტება:

რეზიდენტი ფიზიკური პირი – პირი, რომელიც, ფაქტობრივად, იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე 183 დღე ან მეტ ხანს ნებისმიერი უწყვეტი კალენდარული თვის პერიოდში, რომელიც მთავრდება ამ საგადასახადო წელს, ან ფიზიკური პირი, რომელიც ამ საგადასახადო წლის განმავლობაში იმყოფებოდა უცხო ქვეყანაში საქართველოს სახელმწიფო სამსახურში (სსკ-ის 34-ე მუხლი).

რეზიდენტი იურიდიული პირი – საქართველოს საწარმო ან საქართველოს ორგანიზაცია.

არარეზიდენტი – სხვა ქვეყნის რეზიდენტი პირი.

შენიშვნა: რეზიდენტის ან არარეზიდენტის სტატუსი დგინდება ყოველი საგადასახადო პერიოდისათვის.

საგადასახადო აგენტი – პირი, რომელმაც უნდა შეასრულოს გადასახადის გადამხდელის (არარეზიდენტის) საგადასახადო ვალდებულება (ასეთის წარმოშობის შემთხვევაში).